საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

ქ. ახმეტა ,, 29” აპრილი , 2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
№41

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა, მე–10 [1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე–2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მუნიციპალიტეტის მხარჯავ – შემსყიდველ ორგანიზაციებს 2011 წელს დაგეგმილი ადგილობრივი შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული სატენდერო პროცედურების დადგომამდე, მათი უწყვეტი და გამართული ფუნქციონირებისათვის, მიეცეთ უფლება მაისის თვეში განახორციელონ შესყიდვა გამარტივებული წესით;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას;
3. განკარგულება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს და ადგილობრივი ბიუჯეტის მხარჯავ–ორგანიზაციებს;
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარe: ალექსი მაილაშვილი

0900 ქ . ა ხ მ ე ტ ა , ☎ +995 249 2-22-99 ფ ა ქ ს ი : +995 250 7-64-87
ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ს ქ . № 49 +995 249 2-15-29 +995 249 2-15-17
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@yahoo.com